ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 სექტემბრის №01-06/14 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. შპს „ქედის წყალკანალის“ მიერ 2019 წლის 8 თვეში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: შპს „ქედის წყალკანალის“
დირექტორი: ემზარ ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გოჩა გორგილაძე

2. „ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის
ქონების მართვის განყოფილების უფროსი: თემურ ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: სილოვან ბერიძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა

შპს „ქედის წყალკანალის“ მიერ 2019 წლის 8 თვეში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული შპს „ქედის წყალკანალის“ მიერ 2019 წლის 8 თვეში შესრულებული სამუშაოს ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

დანართი №1

შპს „ქედის წყალკანალის“ მიერ 2019 წლის 8 თვეში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ

შპს ,,ქედის წყალკანალი“-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს:

ა) წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია და მისი შემდგომი განვითარება;

ბ) წყალ მიმღებებისა და გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია უზრუნველყოფა;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლოატაცია და უზრუნველყოფა;

დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა;

ე) საზოგადოების ინფორმირება წყლის წარმოების ეფექტურად გამოყენებისა და წყლის ხარჯვის შეზღუდვების შესახებ.

შპს ,,ქედის წყალკანალი“-ს 2019 წლის საანგარიშო პერიოდის დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი წესდებით გათვალისწინებული ძირითადი ფუნქციების განხორციელება განსაზღვრულია 240400 ლარით, აქედან 2019 წლის 8 თვეში ფაქტიურად გაწეული ხარჯებია:

შრომის ანაზღაურების მუხლში გეგმით გათვალისწინებულია - 129840 ლარი, აქედან გახარჯულია - 86940 ლარი.

საკანცელარიო საწერი ქაღალდის და საკანცელარიო წიგნების შეძენისათვის გეგმა - 430 ლარი, ხარჯი - 214 ლარი.

მარაგნაწილების დამხმარე მასალების შეძენის მუხლით გეგმა - 15351, ხარჯი - 14606 ლარი.

კავშირგაბმულობა: გეგმა - 1850 ლარი, ხარჯი - 1114 ლარი.

ელექტროენერგიის ხარჯის მუხლი: გეგმა - 700 ლარი, ხარჯი - 252 ლარი.

კანალიზაციისა და ასინიზაციის ხარჯი: გეგმა - 8200 ლარი, ხარჯი - 8200 ლარი.

საწვავ-საპოხი მასალების შესაძენად: გეგმა - 33318 ლარი, ხარჯი - 33318 ლარი.

ტრანსპორტის მიმდინარე რემონტი: გეგმა - 4082 ლარი, ხარჯი - 3577 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისათვის: გეგმა - 33409 ლარი, ხარჯი - 27379 ლარი.

შპს ,,ქედის წყალკანალი“-ს ბალანსზე ირიცხება 12 ერთეული სასმელი წყლის მაგისტრალი. აქედან, 4 სასმელი წყლის სათავეზე ხორციელდება თხევადი ქლორით წვეთობრივი დაქლორვა 24 საათიან უწყვეტ რეჟიმში, ხოლო დანარჩენი 8 ერთეული სასმელი წყლის სათავე ნაგებობა კვირაში ერთხელ მუშავდება ქლორით.

სასმელი წყლის 12 მაგისტრალიდან აღებული სინჯები, თვეში ერთხელ, შემდგომი კვლევისა და ხარისხის სტანდარტების შესაბამისობაში კვლევისათვის წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს - სსიპ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს.

მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდება 24 საათიან უწყვეტ რეჟიმში. ასევე ხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემებისა და კოლექტორების დაქლორვა თვეში ერთხელ, კირიანი ქლორით.

ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები.

დღეის მდგომარეობით შპს ,,ქედის წყალკანალს“ არ გააჩნია დავალიანება მომწოდებლებთან.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა

ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონება - ავტომანქანა HONDA CRV2,4 სახელმწიფო ნომრით - KSK779, პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“, უვადო - მისი არსებობის პერიოდით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3.განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების უზუფრუქტის ფორმით, უვადოთ ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სათვის გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ქედის ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორმა ვაჟა ფარტენაძემ მოითხოვა მერიაში გამოთავისუფლებული ავტომანქანა HONDA CRV2,4 სახელმწიფო ნომრით KSK779 გადაცემა მის სარგებლობაში, რადგანაც მათ ბალანსზე რიცხული ავტომანქანა უაზი სახელმწიფო ნომრით GBB-491 ამორტიზებული და გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლოატაციისათვის. რადგან აღნიშნული მუზეუმის ადმინისტრაცია ახდენს დაზვერვით ექსპედიციებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც აგროვებენ ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოთხოვნილი ავტომანქანა მათი საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული მოძრავი ქონების, ავტომანქანა HONDA CRV2,4 სახელმწიფო ნომრით - KSK779, პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“, უვადო - მისი არსებობის პერიოდით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განახორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი (თ. ბერიძე)

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

საქართველო
GEORGIA

KSK779

სარეგისტრაციო ნომერი
Registration number

ეკუთვნილება
Belonging

ქედის მუნიციპალიტეტი
QEDA MUNICIPALITE

მარკა, მოდელი
Model
ჰონდა CR-V 2.4
HONDA CR-V 2.4

გამოშვების წელი
Production year
2002

ფერი
Color
შავი
BLACK

ტიპი
Vehicle type
მსუბუქი მაღალი გამავლობის
LIGHT HIGH PASSABILITY

ძრავის მოცულობა
Engine capacity
2400

ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №
Vehicle ID number
SHSRD77402U013289

ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა

CERTIFICAT D'IMMATRICULATION

BV0809470

GE

გაცემულია
Issued

12/11/2012

რეგისტრაციის სერტიფიკატი
Registration certificate

ერთობლივი განცხადება
BV080470 12/11/2012
Joint application

ძარის N°
Body

ძრავის N°
Engine

შასის N°
Chassis

დასაშვები წონა
Safe load (kg)

დაუტვირთავი წონა
Net Weight (kg)

სფს სარეგისტრაციო № 11-0230

დამამზადებელი
Trub AG